გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 69

2020 წლის 12 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექვსი უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/ნ 418471059) 2020 წლის 17 თებერვლის №32 წერილის საფუძველზე, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში განაცემა, სპორტული ჯგუფების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შემდგომი მოვლა-პატრონობის მიზნით, საჯარო დაწესებულებაში ხარისხიანი და კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდების, დაწესებულების ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ა(ა)იპ-ის წესდებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განსახორციელებლად ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს დროებით სარგებლობაში გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6 (ექვსი) უძრავი ქონება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/ნ 418471059), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შემდეგი 6 (ექვსი) ქონება:

   ა) ქალაქ გორში, სტალინის გამზ. N11ა-ში მდებარე 1247.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა 494.00 კვ.მ. საკადასტრო კოდი N 66.45.25.196 (ა. შოშიაშვილის სახელობის კრივის სკოლა);

   ბ) სოფელ ქვახვრელში მდებარე შენობა-ნაგებობა 796.72 კვ.მ. (I-II სართული) საკადასტრო კოდი N66.17.06.014.01.501 (ძიუდოს სექცია);

   გ) სოფელ ფლავისმანში მდებარე 392.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენკობა N01, საკადასტრო კოდი N 66.48.06.015 (ძიუდოს სექცია);

დ) სოფელ ატენში მდებარე 1544.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა N1, საკადასტრო კოდი N66.60.12.410 (საჭიდაო დარბაზი);

ე) სოფელ ტყვიავში მდებარე უძრავი ქონებიდან ნაწილი ფართი, 344.20 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 20.00 კვ.მ., საკადასტრო კოდი N66.48.15.022 (ჭიდაობის სკოლა);

ვ) ქალაქ გორში, კომბინატის დასახლებაში მდებარე 2388.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა 354.00 კვ.მ., საკადასტრო კოდი N66.45.16.001 (ჩოგფურთის კორტები).

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე